საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/328 „18" დეკემბერი 2017 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**„თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 5 დეკემბრის №1/322 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

1. „თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის დეკემბრის №1/322 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე-ო" ქვეპუნქტები:

„ე) ლევან გზირიშვილი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ვ) ირმა გელაშვილი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ზ) შოთა ქადაგიძე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

თ) ნაზი ჯანეზაშვილი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ი) შოთა ქარჩავა - სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე;

კ) გიორგი კაკაურიძე - სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;

ლ) ალექსი ლოლიშვილი - სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;

მ) ბეჟან მესხი - სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

ნ) საბა აფციაური - სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის შტატგარეშე მოსამსახურე - არქიტექტორი;

ო) თამარ ჯავახიშვილი - თბილისის საქალაქო სასამართლოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - მრჩეველი, ინფრასტრუქტურისა და ლოჯისტიკის საკითხებში;

პ) მაიკლ გრანტი - ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს იურიდიული მრჩეველი."

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $1^1$ და $1^2$ პუნქტები:

„$1^1$. სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი ადმინისტრაციული შენობ(ებ)ის ექსტერიერისა და ინტერიერის, ასევე ტერიტორიის კეთილმოწყობისა და მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის თაობაზე წინადადებების მომზადება.

$1^{2}$. სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში პერიოდულად წარედგინოს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი